დანართი №1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრები: ირმა ღარიბაშვილი
მამუკა ხოშტარია

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „განთიადი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

<u>მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15 დეკემბრის #1374114 ბრძანების (ცვლილება N1428527 - 28.12.21) თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს, ვახტანგ ბოგველიშვილის (თავმჯდომარე) ირმა ღარიბაშვილისა (წევრი) და მამუკა ხოშტარიას (წევრი) შემადგენლობით, დაევალა ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადის" საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღების“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და "ხის მხატვრული დამუშავების" (განხორციელების ადგილი: ქ. გორი, ბესისკის ქ. №2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი) - ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავის მისამართისთვის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). სოფელი ხიდისთავი დაახლოებით 5-6 კილომეტრის მოშორებითაა ქალაქ გორიდან, მანქანით 10-15 წუთის სავალზე. მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია და მიღებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ შეიმუშავა მონიტორინგის დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში შედგა 2022 წლის 17 იანვარს. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს და განიხილეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. გადამოწმდა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; დაწესებულების მიერ უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, საგანგებო სიტუაციების მართვის და წესრიგის დაცვის მექანიზმები; დაწესებულების საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები. დათვალიერდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული, საგანმანათლებლო პროგრამების „შედუღება“ და „ხის მხატვრული დამუშავება“ მატერიალური რესურსი. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „შედუღება“ და „ხის მხატვრული დამუშავება“ ხელმძღვანელებსა და პროფესიულ მასწავლებლებს (მათ შორის, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს). შედგა გასაუბრება კოლეჯის ბიბლიოთეკართან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან და სხვ.
ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტისას გამოკვეთილი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

აღსანიშნავია, რომ წინა მონიტორინგის წარმოების ფარგლებში (გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავის მისამართზე) დაწესებულება 5.1 კომპონენტთან მიმართებით შეფასდა „შეუსაბამოდ“, ხოლო 5.2 კომპონენტთან მიმართებით - „მეტწილ შესაბამისად“, რადგანაც 5.1.1.1 ინდიკატორი შეფასდა „შეუსაბამოდ“, ხოლო 5.1.1.3, 5.1.1.4, 5.1.1.8, 5.1.2.1, 5.1.2.2 5.1.2.3, 5.2.1.1. ინდიკატორები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. ამ მონიტორინგის წარმოებაზე, ზემოაღნიშნული ინდიკატორები შეფასდა „სრულ შესაბამისად“ და აქედან გამომდინარე, 5.1 და 5.2 კომპონენტი არის „სრულ შესაბამისობაში“.

საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღების“ დამატების წარმოების დროს 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, რადგანაც 2.2.1 1 ინდიკატორი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“ - დაწესებულებას ზემოაღნიშნული პროგრამისთვის არ ჰქონდა შეძენილი მატერიალური რესურსი (მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისთვის). ამ მონიტორინგის წარმოების დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ სრულად შეიძინა უშუალოდ შედუღებისთვის (დარგობრივი) საჭირო მატერიალური რესურსი. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი რესურსისა არ არის შეძენილი (იხ. ინდიკატორის აღწერა). ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო დანაკლისი აღჭურვილობის შეძენა ინტეგრირებული მოდულისთვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები". აქვე მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (იანვარი - თებერვალი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, გეგმაში განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების წარმოების დროს 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, რადგანაც 2.2.1.1 ინდიკატორი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“ - დაწესებულებას ზემოაღნიშნული პროგრამისთვის არ ჰქონდა შეძენილი მატერიალური რესურსი. ამ მონიტორინგის წარმოების დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ სრულად შეიძინა აღნიშნული რესურსი და 2.2 კომპონენტი შეფასდა „სრულ შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა არის „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

III.ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შედუღება	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 48 პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 36	12 5	-
ხის მხატვრული დამუშავება	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 24	12	-

IV. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		სრულად შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		სრულად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.1.1.1 - სწავლის დაწყებამდე დაწებულებამ უზრუნველყოს „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება. - **შესრულებულია. დასტურდება აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტებითა და ვიზუალური დათვალიერებით;**

2.1.1.1 - სწავლის დაწყებამდე დაწებულებამ უზრუნველყოს „შედუღების“ (როგორც არაინტეგრირებული, ისე ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება. - **ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულებამ სრულად შეიძინა უშუალოდ შედუღებისთვის (დარგობრივი) საჭირო მატერიალური რესურსი. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი რესურსისა არ არის შეძენილი (იხ. ინდიკატორის აღწერა).**

5.1.1.1 - ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზი მე-5 სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №1977 განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა (სახელოსნოები, სასწავლო აუდიტორია) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვრა გადაცემული ქონების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება სარგებლობის პერიოდის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 29 აგვისტოს, 6 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, არ არის უზრუნველყოფილი ავტორიზაციის ვადით შენობა-ნაგებობით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის. - **შესრულებულია. ავტორიზაციის ვადით სასწავლო მიზნებისთვის შენობა-ნაგებობით სარგებლობის უზრუნველყოფის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 ნოემბრის განკარგულება #2009;**

5.1.1.3 - დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 და არა სოფ. ხიდისთავი. ექსპერტებმა აღნიშნული დააფიქსირეს ხარვეზად. თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად დაწესებულებას გაწერილი აქვს ხელშეკრულებების გადახედვა და ხიდისთავის ლოკაციასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაკეთება. აქვე მითითებულია აქტივობების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ოქტომბერი), სწავლის დაწყებამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, გეგმაში
განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები: სამუშაო ადგილად გაიწერა როგორც ქ. გორი, ბესიკის ქ. №2, ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სასწავლო სახელოსნო;**

5.1.1.4 - სოფელ ხიდისთავში მდებარე დაწესებულების შენობა-ნაგებობაში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, არის ორი სახელოსნო და ერთი A ტიპის გარემო (აუდიტორია), რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოების და აუდიტორიის უზრუნველყოფა ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოლეჯმა უკვე გააფორმა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობილობების შესყიდვის ხელშეკრულება (№26 25.05.2021), რაც ასევე ასახულია გაუმჯობესების გეგმაში. აქვე მითითებულია სამუშაოს დაწყებისა და

დასრულების სავარაუდო თარიღები (მაისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რის მტკიცებულებად წარმოდგენილია ცენტრალური გათბობის მოწყობილობების შესყიდვისა და ცენტრალური გათბობის მონტაჟის შესყიდვის აქტები და დასტურდება ექსპერტთა მიერ, დათვალიერების საფუძველზე;**

5.1.1.8 - სანიტარული კვანძები (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) განლაგებულია დაწესებულების გარე პერიმეტრზე, შენობიდან დაახლოებით ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით. ექსპერტებმა ვერ შეძლეს აღნიშნული სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, სველი წერტილები ამ ეტაპზე მომხმარებელთათვის არაა ხელმისაწვდომი - გაუმართავ მდგომარეობაშია, საჭიროებს რემონტს და მიმდინარე პერიოდში იგეგმება მათი მოწესრიგება. დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სანიტარული კვანძების მოწყობა (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობაში. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (მაისი - სექტემბერი). დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში ასახა, რომ აღნიშნული სამუშაოები მათ დაწყებული აქვთ და დაასრულებენ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. დაწესებულების მიერ სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოებისთვის განკუთვნილ შენობაში მოეწყო სანიტარული კვანძები (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის), რომლის მტკიცებულებად წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები და აზომვით ნახაზი. ასევე დასტურდება ექსპერტთა მიერ, დათვალიერების შედეგად;**

5.1.2.1 - შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მტკიცებულების სახით, ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის მიწერილობა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების მიზნით საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;**

5.1.2.2 - პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას, რომლის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. №2. აქედან გამომდინარე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი სოფ. ხიდისთავში არაა განსაზღვრული. გასაუბრებისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოფელ ხიდისთავში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე იმოქმედებენ მოდულების განმახორციელებლები ან/და კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომელთა დატრენინგებას უზრუნველყოფს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ექსპერტებმა აღნიშნული დააფიქსირეს ხარვეზად. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დააზუსტა, რომ კოლეჯის რეგულაციების მიხედვით (კრიზისული სიტუაციების გეგმა), საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება შეუძლია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილზე მყოფ პროფესიული განათლების მასწავლებელს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, თუმცა, ახლო მომავალში დაწესებულება გეგმავს კოლეჯის თანამშრომელთა/სტუდენტთა გადამზადებას შემდეგი მიმართულებებით: სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი; პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი - თანამშრომელთა გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, რაც გაწერილია გაუმჯობესების გეგმაში, რომელიც ასევე იქნა წარმოდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის სახით. გაუმჯობესების გეგმაში მითითებულია აღნიშნული ტრენინგების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (ივლისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ კოლეჯის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი; პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი. დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით - შრომის უსაფრთხოების ჟურნალითა და ინტერვიურებით;**

5.1.2.3 - ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;**

5.2.1.1 - ვიზიტისას დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არაა უკაბელო/კაბელიანი ინტერნეტი. კოლეჯის მესვეურებმა წარმოადგინეს გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია ინტერნეტ-პაკეტის შეძენის საკითხი. გეგმაში მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (სექტემბერი - სექტემბერი) და ვადა - ერთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით. - **შესრულებულია. შენობაში არსებული მოდემით ინტერნეტი მიეწოდება მოწყობილობებს, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ, დათვალიერების შედეგად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

განვითარების რეკომენდაციები:

2.2.1.3 - რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ მოდულების განმახორციელებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციაში. - **შესრულებულია. დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.**

2.4.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ ფარგლებში, დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა C გარემოში, დაზგებთან, გამოეკრას მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან. - **შესრულებულია. სასწავლო/სამუშაო გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

2.2.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ფარგლებში, რეკომენდაცია მიეცა დამატებით ისეთი ცეცხლმაქრის შეძენასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია ელექტროხაზებისა და ელექტრო დანადგარების წვისთვის (ნიშნით E). რეკომენდაცია მიეცა ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულისთვის განკუთვნილ ლაბორატორიაში ხელსაბანის და გამწოვი კარადის მოწყობის შესახებ. - **ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულებამ შეიძინა ცეცხლმაქრები, რომელებიც განკუთვნილია ელექტროხაზებისა და ელექტრო დანადგარების წვისთვის (ნიშნით E). ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულისთვის განკუთვნილ ლაბორატორიაში მოწყობილია ხელსაბანი, თუმცა გამწოვი კარადა არაა დამონტაჟებული და შესაბამისად, არაა მუშა მდგომარეობაში. მტკიცებულება: მიღება-ჩაბარების აქტი და ვიზუალური დათვალიერება.**

2.2.1.3 - საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“ ფარგლებში, რეკომენდებულია, მოდულის განმახორციელებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციაში. - **შესრულებულია. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები (პირისპირ და ონლაინ), რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილია დასწრების ფურცელი. ასევე დასტურდება გასაუბრებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.4.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგები“ ფარგლებში, დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა C გარემოში, დაზგებთან, გამოეკრას მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან. - **შესრულებულია. სასწავლო/სამუშაო გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VIII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგები“ ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ნაწილი დაწესებულებას არ შეუძენია (იხ. ინდიკატორის აღწერა). ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედეგები" განხორციელებისთვის საჭირო დანაკლისი აღჭურვილობის შეძენა ინტეგრირებული მოდულისთვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები". აქვე მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (იანვარი - თებერვალი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, გეგმაში განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა ხელშეკრულება N1 (28.01.2022) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების საგანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

"შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო დანაკლისი აღჭურვილობის შეძენა ინტეგრირებული მოდულისთვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები".

IX. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 – საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ ფარგლებში:

ა) იმ სივრცეში სადაც ამჟამად განლაგებულია ჩარხები (ჩარხი - მანქანა (აგრეგატული მექანიზმი), რომელიც გამოიყენება (როგორც წესი, წარმოებაში) სხვადასხვა მასალების დასამუშავებლად, ან სამარჯვი რაიმეს გასაკეთებლად) უმჯობესია განლაგდეს ტექნოლოგიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ განლაგება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ჯერ ხდება მასალის დანაწევრება (მრგვალხერხა ჩარხი ან ლენსახერხი ჩარხი), შემდეგ გასალაშინება (საჯიფთი ან სასალაშინე ჩარხი), შემდეგ გარეისმუსება (სარეისმუსე ჩარხი), შემდეგ ფრეზვა (საფრეზი ჩარხი), შემდეგ ხის აბრაზიული დამუშავება, შემდეგ რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი და ა. შ.;

ბ) სასურველია, სახელოსნოში იყოს გამოყოფილი ბილიკი ყვითელი საღებავით, სადაც არ შეიძლება ნედლეულის დაწყობა. ეს გამოყოფილი ბილიკი უნდა იყოს ყოველთვის თავისუფალი.

აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ განხორციელებისას, დარგის ექსპერტი დაწესებულებას სთავაზობს შემდეგი სახელმძღვანელოების გამოყენებას:

1. ხის დასამუშავებელი სადურგლო კომბინირებული ჩარხები: დამხმარე სახელმძღვანელო.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9999/1/Xis_Dasamushavebeli_Sadurglo.pdf
2. ავეჯის მოპირკეთების და გამოყვანის ტექნოლოგიები.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/194178/1/AvejisMopirketebaDaGamoyvanisTeqnologiebi.pdf
3. ავეჯის მოპირკეთების და გამოყვანის მეთოდოლოგია.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/25728/1/AvejisMopirketebisDaGamoyvanisMetodologia.pdf
4. ხის დასამუშავებელი ჩარხები: სასწავლო ელემენტები.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9974/1/Xis_Dasamushavebeli_Charxebi.pdf

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. ხის დასამუშავებელი ჩარხები: ტესტები.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12492/1/testebi.pdf
6. სიზუსტის ნორმები და ალტერნატიული კონტროლი ხის დამუშავებაში
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9994/1/Sizustis_%20Normebi.pdf
7. შრომის უსაფრთხოების წესები მერქნის ნაკეთობების დამზადების და გამოყვანის დროს: პრაქტიკული სახელმძღვანელო.
http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/255842
8. ხის დასამუშავებელი ჩარხები
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9997/1/Xis_%20Dasamushavebeli%20_charxebi.pdf
9. ავეჯის კონსტრუირების მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია და სრულყოფა.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9975/1/Avejis_Konstruirebis_Metodologia.pdf
10. რესურს-ეფექტიანობა ხის დამამუშავებელ ინდუსტრიაში: ევროგაერთიანების ქვეყნების გამოცდილება ქართველ მეწარმეებს. სარეკომენდაციო, სადემონსტრაციო-საჩვენებელი სახელმძღვანელო.
https://catalog.nplg.gov.ge/search*geo/?searchtype=i&searchscope=2&searcharg=9789941096990
11. ხის მხატვრული დამუშავება. თეიმურაზ სარიშვილი.
https://sng1lib.org/book/5744049/a1c06b

2.2.1.7 - ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ფარგლებში, პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები დათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე, რენტაბელობის ზღვარი გახლავთ 7 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამაზე ამჟამად ირიცხება 5 აქტიური პროფესიული სტუდენტი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ზემოაღნიშნული მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

X. სტანდარტის შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 ნოემბრის #2009 განკარგულებით, ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #1977 განკარგულებაში. ცვლილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2032 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სარგებლობაში გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა (სახელოსნოები, სასწავლო აუდიტორია) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვრა გადაცემული ქონების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება, სარგებლობის პერიოდის განმავლობაში. დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 29 აგვისტოს, 6 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილია ავტორიზაციის ვადით შენობა-ნაგებობით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის.

სოფელ ხიდისთავში არსებული შენობა-ნაგებობა მოიცავს ერთ A ტიპის გარემოს თეორიული სწავლებისთვის და დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის C ტიპის ორ გარემოს - სახელოსნოებს. ვინაიდან ხსენებული სივრცე ფაქტობრივად წარმოადგენს სახელოსნოს, აქ არ გვხვდება ე.წ. ფოიე - სივრცე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე; სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - სივრცე მასწავლებლებისათვის, სადაც შეუძლიათ კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობა, შესვენების დროს განთავსება, შეხვედრა სტუდენტთან ან სხვა პირთან; ასევე ბიბლიოთეკა და არქივი - ეს უკანასკნელნი ქ. გორში, ბესიკის ქ. N2 მისამართზეა განლაგებული, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N70 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ, კოლეჯში სწავლის პერიოდში, ისარგებლონ კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით, სასწავლო მიზნების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, მატერიალური რესურსების კოორდინატორი დროებითი სარგებლობის უფლებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს მათ კოლეჯის კუთვნილებაში არსებულ, სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N 64 ბრძანებით განესაზღვრათ შემდეგი უფლება-მოვალეობები: სველი წერტილებისა და კოლეჯის ინვენტარის სისუფთავის უზრუნველყოფა; სველი წერტილების საჭიროებისამებრ აღჭურვა; პასუხისმგებლობა კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე; კოლეჯის ბალანსზე არსებული შენობა - ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიის ჰიგიენურ, ფიზიკურ და საექსპლუატაციო ვარგისიანობის უზრუნველყოფა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს: „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ტერიტორიაზე დასუფთავების, ნაჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N09 ბრძანებით, „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ“ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანება, ცვლილება „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანებაში“ 2020 წლის 22 ივნისის ბრძანება N 32, რომელშიც და ასევე მის დანართებში: „კოლეჯში მოსულ პირთა ყოველდღიური რესპირატორული მონაცემების აღრიცხვის ჟურნალი“, „სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი“, „დასაქმებულთა ყოველდღიური რესპირატორული მონაცემების აღრიცხვის ჟურნალი“ - გაწერილია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები.

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში განახორციელა ცვლილებები: სამუშაო ადგილად გაიწერა როგორც ქ. გორი, ბესიკის ქ. №2, ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სასწავლო სახელოსნო.

ვიზიტისას, ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობა-ნაგებობა/მიმდებარე სივრცე/სანიტარული კვანძები და დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა.

4. სოფელ ხიდისთავში მდებარე დაწესებულების შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებულია ორი სახელოსნო და ერთი A ტიპის გარემო (აუდიტორია) და განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. დაწესებულებას ჰყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კოლეჯს 2021 წლის 12 აპრილს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც მის სამუშაო ადგილად მითითებულია როგორც გორის (ბესიკის ქ. 2), ასევე სოფ. ხიდისთავის ლოკაციები. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N62 ბრძანებით, დამტკიცებულია სოფ. ხიდისთავის შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის აღმოჩენის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N76 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ განთიადში სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვა-გაცემის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით. პროფესიული განათლების მასწავლებელი, მიმართავს სამსახურებრივი ბარათით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (მოდულით გათვალისწინებული) სახარჯი მასალა-ნედლეულის შეძენის თაობაზე სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც შეთანხმების შემდეგ წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს სახარჯი მასალა-ნედლეულის შეძენის თაობაზე კოლეჯის დირექტორს. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალა-ნედლეულის გადაცემას ახორციელებს კოლეჯის მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, მიღება-ჩაბარების აქტით, შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მისთვის გადაცემული სახარჯი მასალა-ნედლეული გამოიყენოს მოდულით განსაზღვრული სასწავლო/საწარმოო პროცესისათვის და მოდულის მიმდინარეობისას სისტემატურად აწარმოოს გახარჯული ან/და დაზიანებული სახარჯი მასალა-ნედლეულის აღრიცხვიანობა ხარჯვის აქტის/აქტების მეშვეობით. მოდულის მიმდინარეობისას გახარჯული ან/და დაზიანებული სახარჯი მასალა-ნედლეული, რომელიც ექვემდებარება ჩამოწერას, მტკიცებულების სახით უნდა იქნას შენახული ჩამოწერის პროცედურების დაწყებამდე (მაგ. მყარი ნივთები: გატეხილი ნემსი, მაკრატელი, გამოყენებული მასალის ქილები, ყუთები და სხვა). ასევე, ის სახარჯი მასალა-ნედლეული, რომელიც მართალია ექვემდებარება ჩამოწერას, თუმცა ვარგისია გამოსაყენებლად (მაგ. სავარჯიშოდ). მოდულით გათვალისწინებული სასწავლო - საწარმოო პროცესის დამთავრებისას, თუ ეკონომიის ხარჯზე (ან სხვა მიზეზით) სახარჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მასალა-ნედლეული დარჩა გამოუყენებელი, მისი გადაცემა პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო/ პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით. მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება კომისიასთან. გახარჯული სახარჯი მასალის, ნედლეულისა და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის მიზნით იქმნება შესაბამისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. მექანიზმები ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების შეფასებასაც. იგი მოიცავს ინვენტარის შეფასების გზებს, პასუხისმგებელ პირებს, დაინტერესებულ მხარეთა (მასწავლებელი, სტუდენტი) კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან, რელევანტურობასთან დაკავშირებით.

8. სოფ ხიდისთავში, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა და მიმდებარე გარემო ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მოწყობილია პანდუსი, რის საშუალებითაც მათ წვდომა ექნებათ აუდიტორიასა და სახელოსნოებზე.

9. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უხდებათ მუშაობა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

10. დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმიანობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლეჯის ადმინისტრაციული პროცესები სოფ. ხიდისთავში არ წარიმართება. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო ფართზე პირთა დასაშვებად არ არსებობს რაიმე სახის ბარიერი ან შეზღუდვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

11. დაწესებულების ბიბლიოთეკა მდებარეობს ქალაქ გორში, მისამართზე ბესიკის ქ. N2. ექსპერტებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. მსურველთათვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, სოფელ ხიდისთავში პროფესიულ სტუდენტებს შეეძლებათ ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობა, რისთვისაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ A გარემოში არსებული, მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი. მათივე განცხადებით, კოლეჯის ვებ-გვერდზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის თავისუფალია წვდომა საბიბლიოთეკო რესურსზე (ელექტრონული წიგნები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 ნოემბრის #2009 განკარგულება „ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ 2019 წლის 16 სექტემბრის #1977 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N70 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;

3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N 64 ბრძანება „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

4. შეთანხმება #1 (2020 წლის 31 დეკემბრის #108 შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ), 01/10/2021;

5. შეთანხმება #1 (2020 წლის 31 დეკემბრის #109 შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ), 01/10/2021;

6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N62 ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის აღმოჩენის მექანიზმები;

7. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N76 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვა-გაცემის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

8. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;

9. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.gantiadi.ge;

10. ინტერვიუირება;

11. ვიზუალური დათვალიერება;

12. „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ტერიტორიაზე დასუფთავების, ნაჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N09 ბრძანებით;

13. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მესვეურებმა წარმოადგინეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სოფელ ხიდისთავში არსებული შენობის ვარგისიანობასთან/მდგრადობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N495.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში მობილიზებულია საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. იდენტიფიცირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი დახმარების გასაწევად - კოლეჯის მედდა. თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ის ტელეფონის ნომრები, რომლეზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას, რომლის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2.

სოფელ ხიდისთავში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით, ადგილზე იმოქმედებენ მოდულების განმახორციელებლები ან/და კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომელთათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებით: სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი. საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის მიერ ჩატარდა პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

3. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯის მესვეურებმა წარმოადგინეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. სოფელ ხიდისთავში პერიმეტრის უსაფრთხოებაზე, ვიდეომონიტორინგსა და წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ დარაჯი და სახელოსნოს კოორდინატორი, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, გასაუბრებითა და ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ვარგისიანობასთან დაკავშირებით;

2. სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N495 (17/06/2021);

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;

5. შრომის უსაფრთხოების ჟურნალი;

6. საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის მიერ გაცემული, ტრეინინგის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

7. ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;

8. ინტერვიუირება;

9. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფ. ხიდისთავში არსებული შენობა-ნაგებობა მოიცავს ერთ A გარემოსა და ორ სახელოსნოს, რომლებიც გამოყენებული იქნება მხოლოდ ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. შესაბამისად, ადგილზე მობილიზებულია მხოლოდ ერთი, მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი. დაწესებულებას ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სოფ. ხიდისთავში არ გააჩნია. ვიზიტისას დადგინდა, რომ სახელოსნოში ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

2. დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N65 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის IT რისკების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებისა და ვისურებისგან დაცვის ღონისძიებები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N63 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. კოლეჯში როგორც თანამშრომელთა, ასევე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მათ მიერ გამოხატული თანხმობის საფუძველზე, რაც მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშია ასახული.

4. დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები აფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში, ახოციელებს მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

5. ვინაიდან სოფ. ხიდისთავში არსებული შენობა ფაქტობრივად გახლავთ სახელოსნო, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ A გარემოში განთავსებული, მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი, ინტერნეტთან წვდომით.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კოლეჯს შექმნილი აქვს საკომუნიკაციო სტრატეგია. დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებითა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით იკვეთება, რომ კომუნიკაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს ფეისბუქ-ჩატები და ჯგუფები, რომლებიც შექმნილია ინდივიდუალურად ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, პროფესიული მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N65 ბრძანება - კოლეჯის IT რისკების მართვის პოლიტიკა;
2. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N63 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი;
3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ საკომუნიკაციო სტრატეგია;
4. ფეისბუქ ჩატები და ჯგუფები მასწავლებელთათვის, ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სტუდენტთათვის;
5. ინტერვიუირება;
6. ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N33 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საქმისწარმოების წესი. ამ წესის თანახმად, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის e-flow მეშვეობით. აქვე გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები; საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; კორესპონდენციების მიღების, აღრიცხვის (რეგისტრაციის) და გაგზავნის პროცედურები და სხვ.

2. დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365 და სხვა პლატფორმები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. აღნიშნული დასტურდება ექსპერტთა მიერ, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი კორესპონდენცია და შედეგად ასკვნის, რომ დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N33 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის საქმისწარმოების წესი;

2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

3. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია;

4. ინტერვიუირება;

5. ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი (www.gantiadi.ge) და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალზე, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მთავარი სიახლეები, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამების ანოტაციები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.

2. დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯს ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

6. კოლეჯ „განთიადს“ შემუშავებული აქვს საკომუნიკაციო სტრატეგია. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, სხვადასხვა არხების (ვებ-გვერდი, სოც. ქსელები, ელ-ფოსტა, შეხვედრები და სხვ.) შედეგად მიღებულ უკუკავშირს, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებ-გვერდი: www.gantiadi.ge და მისი შემოწმების შედეგები;
2. კოლეჯი „განთიადის“ საკომუნიკაციო სტრატეგია;
3. დაწესებულების ფეისბუქ-გვერდი;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
5. ინტერვიუირება;
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძ. №16, 12.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24 პროფესიული სტუდენტი - მოდულური, გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს(არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (24 პროფესიული სტუდენტი, ყოველწლიური მიღება - 12 პროფესიული სტუდენტი). ვიზიტისას დათვალიერდა „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი და კოლეჯის ინფრასტრუქტურა. კოლეჯის სასწავლო სივრცის, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. გორი. ბესიკის ქ.№2, ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პირობები: A სასწავლო გარემო - 20 პროფესიული სტუდენტისთვის. ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა. პანდემიიდან გამომდინარე, მანძილი მაგიდებს შორის დაცულია მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას გააჩნია სამი B გარემო - 20, 18 და 22 პროფესიული სტუდენტისთვის. ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი ქსეროქსი), დაფა. გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავში მდებარეობს სახელოსნო - C სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია კოლეჯის მფლობელობაში არსებული, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ხის მხატვრული დამუშავება“ საჭირო აღჭურვილობა. ექსპერტებმა, ვიზიტის ფარგლებში, დეტალურად შეამოწმეს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი და დასტურდება მათი კოლეჯის ბაზაზე არსებობა. შენობაში მოწყობილია ერთი A სასწავლო გარემო, განკუთვნილი 12 პროფესიული სტუდენტისთვის. მემორანდუმისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხით (CNC Router) და 3D პრინტერით უზრუნველყოფს შპს „ათი“, რომელიც აღნიშნულ დანადგარებს დროებით სარგებლობაში გადასცემს დაწესებულებას მანამ, სანამ არ მოხდება მათი შეძენა. დაწესებულებას, პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტები არ გააჩნია. ვიზიტის ფარგლებში, დარგის ექსპერტმა გასცა განვითარების შემდეგი რეკომენდაციები:

ა) იმ სივრცეში სადაც ამჟამად განლაგებულია ჩარხები (ჩარხი - მანქანა (აგრეგატული მექანიზმი), რომელიც გამოიყენება (როგორც წესი, წარმოებაში) სხვადასხვა მასალების დასამუშავებლად, ან სამარჯვი რაიმეს გასაკეთებლად) უმჯობესია განლაგდეს ტექნოლოგიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ განლაგება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ჯერ ხდება მასალის დანაწევრება (მრგვალხერხა ჩარხი ან ლენსახერხი ჩარხი), შემდეგ გასალაშინება (საჯიფთი ან სასალაშინე ჩარხი), შემდეგ გარეისმუსება (სარეისმუსე ჩარხი), შემდეგ ფრეზვა (საფრეზი ჩარხი), შემდეგ ხის აბრაზიული დამუშავება, შემდეგ რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი და ა. შ.;

ბ) სასურველია, სახელოსნოში იყოს გამოყოფილი ბილიკი ყვითელი საღებავით, სადაც არ შეიძლება ნედლეულის დაწყობა. ეს გამოყოფილი ბილიკი უნდა იყოს ყოველთვის თავისუფალი.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 19 მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი და 9 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკონტაქტო საათების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლები გარდა საკონტაქტო საათებისა, მონაწილეობენ სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, ასევე მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც).

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას „ხის მხატვრული დამუშავება“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. მისი სამუშაო გამოცდილება მრავალ წელს ითვლის და უკავშირდება სადურგლო სფეროს. 2012 წლიდან მუშაობს კოლეჯ „განთიადში“ პროფესიულ მასწავლებლად. განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში „ხის მხატვრული დამუშავება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან/და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტისას, ექსპერტებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა და შერჩევითად გადამოწმდა სასწავლო ლიტერატურის არსებობა. დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ-გვერდზეც.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, განსაზღვრული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავება, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის მოდიფიცირებულ სასწავლო მასალასა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან, სასწავლო პროცესის და სასწავლო/საწარმო პრაქტიკის მენეჯერთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სადაც გათვალისწინებულია როგორც პროფესიული მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 7 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ. დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
2. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი“(დამტკ. დირექტორის ბრძ. №93; 10.09.2018წ.);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“;
4. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
5. პროგრამის ბიუჯეტი;
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძ. №20, 25.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	48 პროფესიული სტუდენტი - მოდულური, გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს(არსებობის შემთხვევაში).	36
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	137
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	167
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XIV. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		მეტწილი
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.2 პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შედუღება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 48 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს - 36 (3 წელზე, თითოეულ წელს - 12 პროფესიული სტუდენტი). კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. A სასწავლო გარემო - 12 პროფესიული სტუდენტისთვის. ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა. პანდემიიდან გამომდინარე, მანძილი მაგიდებს შორის დაცულია მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას გააჩნია სამი B გარემო - 20, 18 და 22 პროფესიული სტუდენტისთვის. ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი ქსეროქსი), დაფა. გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავში მდებარეობს სახელოსნო - C სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია კოლეჯის მფლობელობაში არსებული, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“ საჭირო აღჭურვილობა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯმა სრულად შეისყიდა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და მონიტორინგის მიზნებისთვის ცენტრში წარმოადგინა რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული დოკუმენტებითა და ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება პროგრამით განსაზღვრული, დარგობრივი აღჭურვილობის კოლეჯის ბაზაზე არსებობა. C გარემოს ვიზუალურად დათვალიერებისას დადგინდა, რომ დაწესებულებამ თითოეულ შესადუღებელ კაბინაში ინდივიდუალურად დაამონტაჟა/მოაწყო გამწოვები, რომლებიც მიერთებულია საერთო გამწოვთან. შემოწმებისას დადგინდა, რომ გამწოვები მუშა მდგომარეობაშია. ვიზუალურად შემოწმდა დაწესებულების მიერ შეძენილი შესადუღი დანადგარები. C გარემოში გამოყოფილია 8 შესადუღებელი კაბინა, მათ შორის 4 კონკრეტულად ახალი შესადუღებელი აპარატურის გამოსაყენებლად არის განკუთვნილი. კაბინები არასამუშაო სივრცისგან გამოყოფილია სილიკონის სპეციალური ფარდებით. სივრცეში გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები, უსაფრთხოების ზოგადი წესები და შედუღების უსაფრთხოების წესები.

პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, შესაბამისად, პროგრამას არ აქვს გარე პრაქტიკის ობიექტი და პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის გათვალისწინებულია C გარემო.

წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შესაძენი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი. „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის ლაბორატორიის მატერიალური რესურსი იყო შესყიდვის პროცესში. აღნიშნული კომპონენტი დაწესებულების მხრიდან შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული იყო კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო, რისკები, დაფინანსების წყარო და დაფინანსების ოდენობა, ასევე წარმოდგენილი იყო ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულების მიერ მატერიალური რესურსის შესყიდვების ვადად გაუმჯობესების გეგმის მიხედვით განსაზღვრული იყო ივნისის თვე, თუმცა, საბჭოს მსვლელობისას ითხოვეს, რომ შესყიდვების პროცესის გამო მონიტორინგი ჩანიშნულიყო 2021 წლის 30 ნოემბრიდან.

მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულებამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის ფარგლებში რესურსის მიღება-ჩაბარების აქტი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული დოკუმენტი შედარდა პროგრამით დამტკიცებულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტები იდენტური არ არის. დაწესებულებას ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში ინვენტარი არასრულად აქვს შეძენილი. შესაძენია შემდეგი მატერიალური რესურსი:

დასახელება	რაოდენობა
1. რეზინის მსხლები პიპეტისთვის	1
2. მილების შესაერთებელი (გადასაბმელი)	1
3. მინის და რეზინის მილების კომპლექტი	1
4. თერმომეტრი	1
5. ქიმიური კოვზები	1
6. სადენები კლიფსებიანი	11
7. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით	1
8. ელ. წრედის ჩამრთველი	1
9. კომპასი	5
10. სამკუთხა პრიზმა	1
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით	1
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით	1
13. სინჯარები საცობებით	12
14. სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული კუბები (რეზინის, ხის, გაუმჭვირვალე პლასტმასის, მეტალის, გამჭვირვალე პლასტმასის)	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

15. ლობორატორიული ტრეკი (დახრილი სიბრტყე), თავისი 2 ცალი ურიკით	1
16. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად	2
17. წყვილი კამერტონი (2 ც) რეზონატორით	1
18. ელექტროძრავის მოდელი (9 ვ)	1
19. მინის ღერო და შესაბამისი (კარგი დამუხტული უნარის მქონე) ქსოვილის ნაჭერი	1
20. ებონიტის ღერო და შესაბამისი (კარგი დამუხტული უნარის მქონე) ქსოვილის ნაჭერი	1

ინტერვიურებისას, დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით ძირითადად ორი მიზეზის გამო ვერ მოხდა მატერიალური რესურსის სრულად შეძენა. ეს იყო ტექნიკური ხარვეზები და კონკრეტული დასახელების რესურსის ვერ მოძიება ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში სწავლა დაიწყო 2021 წლის 8 ნოემბერს და ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდული ამჟამად ხორციელდება. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს ის სწავლის შედეგები, რომლებიც აღნიშნულ მატერიალურ რესურსს საჭიროებენ.

ზემოაღნიშნულ დანაკლისთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო დანაკლისი აღჭურვილობის შეძენა ინტეგრირებული მოდულისთვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები". აქვე მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (იანვარი - თებერვალი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, გეგმაში განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა ხელშეკრულება N1 (28.01.2022) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების საგანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო დანაკლისი აღჭურვილობის შეძენა ინტეგრირებული მოდულისთვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. არაინტეგრირებულ პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულების სწავლებას ახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 - ზოგადი და ინტეგრირებული, 10 კი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა: მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. შედგა ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარების საკითხი. ტრენინგი ჩატარდა თემაზე - კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტი. ინტერვიურებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს აღნიშნული საკითხი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით სჩანს, რომ მას გააჩნია შემდუღებლად მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. 2012 წლიდან მუშაობს კოლეჯ „განთიადში“ პროფესიული განათლების მასწავლებლად. განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და გარკვეული ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ფუნქციების შესრულება. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. გადამოწმდა სასწავლო რესურსის არსებობა. დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული და ბეჭდური სახით სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. პროფესიულ სტუდენტებს თავისუფალი წვდომა აქვს ელექტრონულ სასწავლო რესურსზე. ასევე, დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთულ სასწავლო რესურსის ელ. ვერსიებზე აქვთ თავისუფალი წვდომა. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა ელექტრონული სახელმძღვანელოების არსებობა კომპიუტერებსა და ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, განსაზღვრული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავება, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის მოდიფიცირებულ სასწავლო მასალასა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან, სასწავლო პროცესის და სასწავლო/საწარმო პრაქტიკის მენეჯერთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

გათვალისწინებულია როგორც პროფესიული მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს ინდივიდუალურად აქვს განსაზღვრული ბიუჯეტი ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამებისთვის, სადაც გაწერილია შემოსავლები, ხარჯები და რენტაბელობის ზღვარი. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები დათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე, რენტაბელობის ზღვარი გახლავთ 7 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამაზე ამჟამად ირიცხება 5 აქტიური პროფესიული სტუდენტი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ზემოაღნიშნული მონაცემები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ. დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
2. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი“(დამტკ. დირექტორის ბრძ. №93; 10.09.2018წ.);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“;
4. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
5. პროგრამის ბიუჯეტი;
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი;
შესაბამისობის გეგმა.

05.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: